საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 34

27/03/2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ“ ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“61 –ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე დაწესდეს საწვავის ყოველთვიური ლიმიტი შემდეგი ოდენობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე – ავტომანქანა – (ტოიოტა რანერი) –800 ლიტრი

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე– ავტომანქანა (ჰიუნდაი ტუქსონი) – 400 ლიტრი

გ) საკრებულოს სარგებლობაში არსებულ ავტომანქანა (REV 173) 200 ლიტრი

2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 8 ოქტომბრის #232 ბრძანება ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დაწესების შესახებ“

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან და მოქმედების ვადად განისაზღვროს მიმდინარე წლის 31 დეკემბერი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე

ი. მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე